საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსის ანოტაციის ფორმა

კურსის სახელწოდება: საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია

კურსის მოცულობა: 4 კვირა, 6 სთ. კვირაში, 24 სთ. თვეში

კურსის ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თამაზ ზუბიაშვილი

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები: თამაზ ზუბიაშვილი

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: კურსი გათვლილია მოწვეულ უცხოელ მსმენელებზე. კურსი ინგლისურენოვანია

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: ინგისური ენის B1 დონეზე და ტურიზმის შესავლის ელემენტარულ დონეზე ცოდნა

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებს გააცნოს მნიშვნელოვანი დესტინაციები და ტურისტთა მიზიდულების ცენტრები ევროპაში, აფრიკაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ოკეანეთში. მოცემული კურსით სტუდენტები გაეცნობიან მსოფლიო რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების კულტურულ ღირებულებებს.

თანამედროვე ტექნოლოგიები მსოფლიოს უმეტეს ნაწილს ტურისტებისათვის ხელმისაწვდომს ხდიან, თუმცა მსოფლიო პოტენციური ტურისტული რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა ათვისებული. მიუხედავად ამისა, ტურიზმზე გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, რომელიც მცირე რესურსულ ბაზაზეა ფოკუსირებული, ტურისტული დესტინაციები ზეწოლას განიცდიან. ნაწილობრივ ეს იმიტომ ხდება, რომ ტურიზმი სივრცეში თანაბრად ან შემთხვევით არ ვითარდება – ამდენად, ზეწოლა სეზონურად და უნიკალურ ადგილებშია კონცენტრირებული. ეს მოითხოვს ტურისტული რესურსების ეფექტიან დაგეგმვასა და მენეჯმენტს და განსაკუთრებით – გარკვეული რესურსების სახეობებთან ტურიზმის შესაბამისი ფორმების მისადაგებას. ბუნებრივია, ტურიზმის სხვადასხვა ფორმებს განვითარებისთვის განსხვავებული მოთხოვნები აქვთ და გარკვეული ადგილები, რაიონები ან ქვეყნები, სხვებთან შედარებით, მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება.

ტურიზმის გეოგრაფია იკვლევს ბუნებრივი და ანთროპოგენური (კლიმატი, სანაპირო, პეიზაჟი, მინერალური წყლების მარაგები, ისტორია, კულტურა და ა.შ) რესურსების ტერიტორიული გავრცობის საკითხებს. სწავლობს თავისუფალი დროის ოპტიმალურად გამოყენების ხასიათსა და სტრუქტურას, ტურისტული ნაკადების მიმართულებებს. ის ეყრდნობა გეოგრაფიის ისეთ დარგებს, როგორებიცაა:

- დემოგრაფია: ცოდნათა სისტემა ადამიანთა დემოგრაფიული და ეკონომიკურ-სოციალური სტატუსის ევოლუციის შესახებ.
- ეკონომიკური გეოგრაფია: გულისხმობს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონების ეკონომიკური რესურსების ცოდნას; და ქვეყანათმცოდნეობა: დედამიწის რეგიონებისა და კონტინენტთა მეურნეობის ცოდნათა სისტემა. ეკონომიკური რესურსების მნიშველოვანი ნაწილი, სწორედ ტურიზმს განეკუთვნება. (მაგალითად, ბალეარის კუნძულების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას სწორედ მისი ტურისტული სპეციალიზაცია განსაზღვრავს).

კურსის დამთავრების შემდეგ უცხოელ მსმენელებს ექნებათ ცოდნა - ტურიზმის ინდუსტრიის შესახებ და გამომუშავებული ექნებათ უნარი გამოიკვლიონ ტურიზმის როლი მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების და რეგიონების მაგალითებზე. შესწავლილი ექნებათ რეკრეაციული გეოგრაფიის მთავარი ნაწილი, რომელიც შეიცავს ტურიზმის ტერიტორიული ორგანიზაციის კანონზომერებებს და ფაქტორებს.

მონაწილეთა შეფასების სიტემა: პრეზენტაციები - 30%

საშინაო დავალება - 30%

ზეპირი გამოცდა - 40%

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

ქულათა რაოდენობა (100%), გადასალახი ბარიერი 51%

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

#შეხვედრა	სესიების თემები	საათების რაოდენობა თითოეული სესიისათვის	ლიტერატურა
1	კურსის შესავალი (ტურიზმის განვითარების ფაქტორები;მსოფლიოს ტურისტული რეგიონები)	6	Philip Davidoff, Doris Davidoff. Tourism Geography. Prentice Hall, New Jersey. 2005. (ლექციების კურსი. ელ. ვერსია (ყოველი ლექციის შემდეგ სტუდენტები მიიღებენ ლექციის საკითხავ მასალას ამობეჭდილი სახით)
2	**ტურისტული ქვეყანათმცოდნეობა: (კარიბის რეგიონი).** (რეკრეაციულ-	6	Tourism Geography: A New Synthesis (Routledge Contemporary Human Geography Series) by Stephen Williams. 2009

	გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები, ტურისტული ცენტრები და კურორტები)		
3	**ტურისტული ქვეყანათმცოდნეობა: (დასავლეთ ევროპა).** (რეკრეაციულ-გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები, ტურისტული ცენტრები და კურორტები)	6	Worldwide Destinations, Fifth Edition: The geography of travel and tourism by Brian Boniface MA, Chris Cooper and Robyn Cooper, 2009
4	**ტურისტული ქვეყანათმცოდნეობა: (სამხრეთ აზია).** (რეკრეაციულ-გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები, ტურისტული ცენტრები და კურორტები)	6	World Geography of Travel and Tourism: A Regional Approach by Alan Lew, C Michael Hall and Dallen J. Timothy. 2008

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:

აუდიტორია, დაფა, საპრეზენტაციო საშუალებები,